

ევროპის კონსტიტუცია

სახელმწიფოსა და მთავრობის
მეთაურთა მიერ მიღებული
კონსტიტუცია

ასსნა-განმარტებები

მოქალაქეებისათვის



ევროკავშირი

ევროპის კონსტიტუციის შექმნის შესახებ ხელშეკრულება ⁽¹⁾ 2004 წლის 17 და 18 ივნისს ბრიუსელში ევროკავშირის 25 წევრი ქვეყნის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს. ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ევროპული კონვენტის მიერ მომზადებული და თესალონიკის ევროპული საბჭოსთვის 2003 წლის 20 ივნისს წარდგენილი საწყისი პროექტი.

კონსტიტუცია დაყოფილია ოთხ ნაწილად. პირველ ნაწილში განმარტებულია ევროკავშირის კონსტიტუციური წყობა, მეორეში მოცემულია ძირითად უფლებათა ქარტია, მესამეში - ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკა და კავშირის ფუნქციონირება, ხოლო მეოთხეში - ზოგადი და საბოლოო დებულებები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, განუმარტოს მოქალაქეებს კონსტიტუციის მიერ ევროპის მშენებლობაში შეტანილი წვლილი, იმ კონსტიტუციისა, რომელიც შეიქმნა ევროპულ მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირების და უფრო დემოკრატიული, გამჭვირვალედ მოქმედი, ეფექტიანი ევროპის აშენების მიზნით.

თუ გსურთ მიიღოთ უახლესი ინფორმაცია ევროკავშირის მომავლის თაობაზე, შეგიძლიათ იხილოთ “Futurum”-ის ინტერნეტგვერდი:

<http://europa.eu.int/futuru>

⁽¹⁾

კონსტიტუციის სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტგვერდზე:
<http://europa.eu.int/futurum>

ევროკავშირთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის უმეტესი ნაწილის მოძიება შესაძლებელია ინტერნეტით, სერვერის Europa მეშვეობით (<http://europa.eu.int>).

ლუქსემბურგი, ევროპულ თანამეგობრობათა ოფიციალური გამოცემების სამსახური, 2004.

ISBN: 92-894-0751-4

© ევროპული თანამეგობრობები, 2004

გავრცელება ნებადართულია წყაროს მითითების შემთხვევაში.

დაბეჭდილია საქართველოში.

დაბეჭდილია 115g/m2 MATT ქაღალდზე.

ევროპის კონსტიტუცია

სახელმწიფოსა და მთავრობის
მეთაურთა მიერ მიღებული
კონსტიტუცია

ახსნა-განმარტებები

მოქალაქეებისათვის



ევროკავშირი

ეს არის კომისიის მიერ გამოცემული
საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტი,
რომელსაც არა აქვს იურიდიული ძალა.
აუცილებელი არ არის, რომ დოკუმენტი გამოხატავდეს
ევროპული ინსტიტუტების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კონსტიტუციის შექმნის საფუძველი და მისი შემუშავება
2. რას წარმოადგენს კონსტიტუცია?
3. კონსტიტუცია ევროპის მოქალაქეებისათვის
 - 3.1 ევროკავშირის ფასეულობები და მიზნები
 - 3.2 ევროპის მოქალაქეობა და ძირითადი თავისუფლებები
 - 3.2.1 ევროპის მოქალაქეობა
 - 3.2.2 ძირითადი უფლებები
 - 3.3 ვის რა ფუნქცია აკისრია ევროკავშირში? უფლებამოსილებათა განმარტება
 - 3.4 სუბსიდიარობის პრინციპი: უფლებამოსილებათა სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა
 - 3.5 ლეგიტიმური და დემოკრატიული ევროკავშირი
 - 3.6 ევროკავშირის ნევრობა
4. ევროკავშირის ინსტიტუტები და ევროპული პროექტი
 - 4.1 ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა
 - 4.1.1 ევროპის პარლამენტი
 - 4.1.2 ევროპული საბჭო
 - 4.1.3 მინისტრთა საბჭო
 - 4.1.4 ევროკომისია
 - 4.1.5 საგარეო საქმეთა მინისტრი
 - 4.1.6 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო
 - 4.1.7 ცენტრალური ევროპული ბანკი
 - 4.1.8 აუდიტორთა სასამართლო
 - 4.1.9 რეგიონული კომიტეტი
 - 4.1.10 ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი
5. ევროკავშირის სამოქმედო ინსტრუმენტები
 - 5.1 ინსტრუმენტების გამარტივება
 - 5.2 საკანონმდებლო პროცედურა
 - 5.3 ევროკავშირის ფინანსური სახსრები
6. ევროკავშირის მოღვაწეობა საგარეო არენაზე
7. თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სივრცე
8. ევროკავშირის ზოგიერთი სხვა პოლიტიკა: რა სიახლეები შემოაქვს კონსტიტუციას
9. კონსტიტუციის ქალაქი შესვლა და გადასინჯვა

1. კონსტიტუციის შექმნის საფუძველი და მისი შემუშავება

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ევროკავშირის ისტორიაში შეინიშნებოდა ევროპული ხელშეკრულებების რეგულარული ცვლილება. თითოეული ცვლილება მზადდებოდა მთავრობათაშორის კონფერენციებზე, რომლებზეც რამდენიმე თვეში ერთხელ იკრიბებოდნენ წევრი სახელმწიფოების მთავრობათა წარმომადგენლები. მთავრობათაშორისი კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ევროკომისიაც და ევროპარლამენტიც.

ხელშეკრულებათა
რეგულარული
გადასინჯვა

1986 წლის თებერვალში ხელმოწერილმა **ერთიანმა ევროპულმა აქტმა** საშუალება მისცა ევროკავშირს, შეექმნა საერთო ბაზარი და თავის ტერიტორიაზე შემოეღო ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლება, რისი დადებითი შედეგებიც ცდელს ევროპის ბიზნესის სექტორი და ევროპული ადამიანები სარგებლობენ.

ექვსი წლის შემდეგ, 1992 წლის თებერვალში ხელმოწერილი **მაასტრიხტის ხელშეკრულების** წყალობით ევროკავშირს რიგ სფეროებში წინსვლის შესაძლებლობა მიეცა: ეს იყო საერთო ფულადი ერთეულის შემოღება, საერთო საგარეო პოლიტიკა, თანამშრომლობა მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროში.

მაგრამ მაასტრიხტის შემდეგ ევროპის პოლიტიკური კავშირის განვითარებამ დაკარგა სტიმული. მართალია, ორი მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელთაც **ამსტერდამის (1997) და ნიცის (2001) ხელშეკრულებათა** ხელმოწერა მოჰყვა, მეტ-ნაკლებად წარმატებული იყო, მათ ნაკლები პოლიტიკური სიამაყე ახასიათებდა; ინსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებული ბევრი შეკითხვა (ეს შეკითხვები უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ისინი ევროკავშირის გაფართოების მოლოდინში წამოიჭრა) უპასუხოდ დარჩა (როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი 25 ან მეტი წევრი სახელმწიფოსგან შემდგარი კავშირის შეუფერხებელი ფუნქციონირება, როგორ უნდა იქნეს გარანტირებული ევროპის სახელმწიფოებისა და ხალხების წარმომადგენელი ინსტიტუტების მართლზომიერი ქმედება).

გაფართოებული
ევროკავშირისთვის
ინსტიტუციური
რეფორმის საჭიროება

როდესაც 2000 წლის დეკემბერში **ნიცაში** შეკრებილმა 15 წევრი ქვეყნის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებმა მიაღწიეს შეთანხმებას ხელშეკრულებათა გადასინჯვასთან დაკავშირებით, მათ გააცნობიერეს ინსტიტუციური რეფორმის გატარების აუცილებლობა. ბევრ ადამიანს მიაჩნდა, რომ ეს რეფორმა ნიცის ხელშეკრულებაში ძალზე გაუბედურად იქნა გაცხადებული. შესაბამისად, ევროპულმა საბჭომ წამოიწყო **უფრო ფართო და ყოვლისმომცველი დებატები ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებით**, რომლებიც მიზნად ისახავდა ხელშეკრულებათა ხელახალ გადასინჯვას.

ნიცის ევროპული
საბჭოს მიერ
უზრუნველყოფილი
სტიმული



ნიცაში შეხვედრიდან ერთი წლის შემდეგ ევროპული საბჭო შეიკრიბა **ლაკენში** და 2001 წლის 15 დეკემბერს მიიღო დეკლარაცია ევროკავშირის მომავლის შესახებ, რომლის თანახმადაც კავშირი უნდა გამხდარიყო უფრო დემოკრატიული, უფრო გამჭვირვალედ მოქმედი და უფრო ეფექტიანი. ევროპის ხალხების საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით დეკლარაციამ ნიადაგი მოამზადა კონსტიტუციის შესაქმნელად.

კონვენტი:
ხელშეკრულებათა
გადასინჯვის ახალი,
უფრო საჯარო და
უფრო გამჭვირვალე
მეთოდი

ხელშეკრულებათა გადასინჯვის აქამდე გამოყენებული **მეთოდი** სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული. ევროპული ინტეგრაცია ყველა ჩვენი მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. აღარ შეიძლება მისი განვითარების ძირითადი ეტაპების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება დახურულ კარს მიღმა ჩატარებულ მთავრობათაშორის კონფერენციებზე, რომლებშიც მხოლოდ ნევრი სახელმწიფოების მთავრობათა ხელმძღვანელები მონაწილეობენ. ამიტომ შემდეგი მთავრობათაშორისი კონფერენციის რაც შეიძლება გამჭვირვალე და ფართოსპექტრიანი გზით მოსამზადებლად ევროპულმა საბჭომ გადანყვიტა, მოენვია **კონვენტი**, რომელიც დებატების სანარმოებლად თავს მოუყრიდა ძირითად დაინტერესებულ მხარეებს: 15 ნევრი სახელმწიფოსა და 13 კანდიდატი ქვეყნის მთავრობათა წარმომადგენლებს, ამ სახელმწიფოთა პარლამენტების წარმომადგენლებს, ევროპის პარლამენტისა და ევროკომისიის წარმომადგენლებს, 13 მეთვალყურეს რეგიონული კომიტეტიდან და ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტიდან, აგრეთვე, ევროპელი სოციალური პარტნიორების წარმომადგენლებსა და ევროპელ ომბუდსმენს. კონვენტის მიერ დანერგილი მეთოდის მეშვეობით ისტორიაში პირველად გახდა შესაძლებელი, ფართო, საჯარო და გამჭვირვალე დებატებში გამოხატულიყო ევროპული და ეროვნული მასშტაბის ყველა მოსაზრება.

კონვენტის მანდატი:
ევროპის მომავალთან
დაკავშირებულ
სხვადასხვა კითხვაზე
პასუხების გაცემა

კონვენტის (ბ-ნი ჟისკარ დესტენის თავმჯდომარეობით) 105 ნევრისა და მათი შემცვლელების **მანდატი** ლაკენის ევროპულმა საბჭომ დაანესა. კონვენტის მიზანი იყო ევროკავშირის სამომავლო განვითარებით წამოჭრილი ძირითადი საკითხების შესწავლა და პასუხების წარმოდგენა დოკუმენტში, რომელიც საწყისი წერტილი გახდებოდა მთავრობათაშორის კონფერენციაზე მოლაპარაკებებისთვის. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, სწორედ მთავრობათაშორისი კონფერენციის პრეროგატივაა საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება. ლაკენის ევროპულმა საბჭომ რამდენიმე საკითხი გამოყო: როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ევროკავშირის უფლებამოსილებათა უკეთესი განაწილება, როგორ უნდა გამარტივდეს ის ინსტრუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც მოქმედებს ევროკავშირი, როგორ უნდა მოხდეს ევროკავშირში დემოკრატიის, გამჭვირვალეობისა და ეფექტიანობის უკეთესი გარანტიების უზრუნველყოფა, როგორ გამარტივდეს არსებული ხელშეკრულებები და, გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება თუ არა გამარტივების შედეგად ევროპის კონსტიტუციის მიღება.

კონვენტის მუშაობის
ორგანიზება:
თავმჯდომარე,
ბ-ნი ჟისკარ დესტენი,
და პრეზიდიუმი
კონვენტის მუშაობის
ხელმძღვანელობის
მიზნით

კონვენტში წარმოებული დებატების მართვის მიზნით დაარსდა **პრეზიდიუმი**, რომელშიც 13 ძირითადი ნევრი შედიოდა: თავმჯდომარე, ბ-ნი ჟისკარ დესტენი, და თავმჯდომარის ორი მოადგილე — ბატონები ამატო და დეჰაენი, იმ სამი ნევრი სახელმწიფოს მთავრობათა წარმომადგენლები, რომელთაც კონვენტის მუშაობის განმავლობაში საბჭოს პრეზიდენტობა ეკისრათ, ნევრ სახელმწიფოთა ეროვნული პარლამენტების ორი წარმომადგენელი, ევროპის პარლამენტის ორი წარმომადგენელი და ევროკომისიის ორი წარმომადგენელი (ბატონები ბარნიე და ვიტორინო). კონვენტის სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო სლოვენის პარლამენტის წარმომადგენელი.

კონვენტის პირველი სხდომა 2002 წლის 28 თებერვალს გაიმართა. 15 თვიან პერიოდში კონვენტი იკრიბებოდა პლენარულ სხდომებზე, რომლებიც ორი ან სამი დღე გრძელდებოდა და მოიცავდა ერთ ან ორ შეხვედრას ყოველთვიურად ბრიუსელში, ევროპის პარლამენტის შენობებში. კონვენტის პლენარული სხდომების პარალელურად მუშაობა მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფებში. თითოეულ სამუშაო ჯგუფს სათავეში ედგა პრეზიდენტის წევრი; ჯგუფების ყურადღება რიგ სხვადასხვა კონკრეტულ საკითხზე იყო გამახვილებული.

პლენარული სხდომები
და სამუშაო ჯგუფები

გამჭვირვალობის მიზნით კონვენტის ინტერნეტგვერდზე (<http://european-convention.eu.int>) ქვეყნდებოდა კონვენტის წევრთა მუშაობის შედეგები, დებატების ოქმები და განსახილველი დოკუმენტების პროექტები.

გვერდი ინტერნეტში

დისკუსიის შემდგომი გაფართოებისა და მასში ევროპის ყველა ხალხის ჩართვის მიზნით კონვენტის ერთი სხდომა სამოქალაქო საზოგადოების მოსმენას მიეძღვნა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებს მათი მოსაზრებების წარმოდგენაში სამუშაო ჯგუფებთან შექმნილი საკონტაქტო ჯგუფებიც ეხმარებოდნენ.

სამოქალაქო
საზოგადოების
ფორუმი

აღნიშნული ორგანიზაციებისთვის (სოციალური პარტნიორებისთვის, საქმიანი წრეებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, აკადემიური სამყაროსთვის და ა.შ.) გაიხსნა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, რომლის საშუალებითაც ამ ორგანიზაციებს მიეცათ შესაძლებლობა, ინტერნეტის შესაბამის გვერდზე (http://europa.eu.int/futurum/forum_-convention) განეთავსებინათ ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებულ დებატებში მათ მიერ შეტანილი წვლილი.

ინტერნეტგვერდზე “Futurum” (<http://europa.eu.int/futurum>) გაგრძელდა ევროკავშირის მომავლის თაობაზე დებატებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტისა და „ლინკის“ გამოქვეყნება.

“Futurum”

წელიწადზე მეტხნაიანი დებატების შემდეგ კონვენტმა მიაღწია კონსენსუსს კონსტიტუციის პროექტის ევროპული საბჭოსთვის წარდგენასთან დაკავშირებით.

კონვენტის მიერ
მიღწეული კონსენსუსი
მთავრობათაშორისი
კონფერენციისთვის
მომზადების პროცესში
მყოფი კონსტიტუციის
პროექტის
წარდგენასთან
დაკავშირებით



2003 წლის 20 ივნისს ვალერი ჟისკარ დესტენმა კონვენტის მუშაობის შედეგები **თესალონიკის ევროპულ საბჭოს** წარუდგინა.

ევროპული საბჭოს თვალსაზრისით, კონვენტის მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ხელშეკრულების პროექტი წარმოადგენდა ისტორიულ წინ გადადგმულ ნაბიჯს ევროპული ინტეგრაციის განვითარებისკენ მიმართულ მცდელობებში. ევროპული ინტეგრაციის განვითარება გულისხმობს ევროკავშირის დაახლოებას თავის მოქალაქეებთან, კავშირის დემოკრატიული ხასიათის განმტკიცებას და ერთიანი და ჰარმონიული ძალის სახით მსოფლიო არენაზე მოქმედების და გლობალიზაციის შედეგად წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობის გაზრდას. ევროპული საბჭოს აზრით, კონვენტმა დაამტკიცა, თუ რაოდენ სასარგებლოა ის დემოკრატიული დიალოგისთვის ფორუმის სახით.

კონვენტის წევრთა საბოლოო სხდომის შემდეგ 2003 წლის 18 ივლისს რომში გამართული ევროპული საბჭოს პრეზიდენტს საბოლოო სახით წარუდგინა კონსტიტუციის პროექტი.

კონვენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტი საფუძვლად დაედო **მთავრობათაშორისი კონფერენციის** მუშაობას, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ 25 წევრი სახელმწიფოს მთავრობათა, ევროკომისიისა და ევროპის პარლამენტის წარმომადგენლები. მთავრობათაშორისი კონფერენციის ყველა სხდომას დაესწრნენ, აგრეთვე, სამი კანდიდატი ქვეყნის — ბულგარეთის, რუმინეთისა და თურქეთის - წარმომადგენლები.

2003 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული მთავრობათაშორისი კონფერენციის სხდომა რამდენჯერმე გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები და სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები. 2004 წლის 17 და 18 ივნისს ბრიუსელში გამართულ ევროპულ საბჭოზე მთავრობათაშორისმა კონფერენციამ რვათვიანი მოლაპარაკებების პროცესის შემდეგ დაასრულა მუშაობა და 25 წევრი სახელმწიფოს მთავრობებმა მიაღწიეს შეთანხმებას. მთავრობათაშორისი კონფერენციის მუშაობასთან დაკავშირებული დოკუმენტები გამოქვეყნდა საბჭოს მთავრობათაშორისი კონფერენციის ინტერნეტგვერდზე: (http://ue.eu.int/cms3_fo/showPage.ASP?id=251&lang=fr)

სახელმწიფოსა და მთავრობების მეთაურთა მიერ მიღებულ კონსტიტუციას ხელს მოაწერენ აღნიშნული მეთაურები, შემდეგ კი მოხდება მისი რატიფიცირება თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ მათი საკუთარი საკონსტიტუციო მექანიზმების შესაბამისად (ანუ საპარლამენტო პროცედურის და/ან რეფერენდუმის გზით). კონსტიტუცია არ ამოქმედდება მანამ, სანამ არ მოხდება მისი რატიფიცირება 25 წევრი სახელმწიფოს მიერ.

2. რას წარმოადგენს კონსტიტუცია?

კონსტიტუცია გვთავაზობს **ერთიან ტექსტს**, რომელიც შეცვლის ყველა არსებულ ხელშეკრულებას, რათა დოკუმენტი ადვილად წასაკითხი და გასაგები იყოს.

ერთიანი ტექსტი:
ევროპის კონსტიტუცია

კონსტიტუცია ოთხი ნაწილისაგან შედგება.

ოთხი ნაწილი

I ნაწილში მოცემულია დებულებები, რომლებიც განმარტავს ევროკავშირის ცნებას, მის **ამოცანებს**, მის **უფლებამოსილებას**, მის გადანაცვეტილებათა მიღების **პროცედურებს** და მის **ინსტიტუტებს**.

I. კონსტიტუციის
ძირითადი დებულებები

კონსტიტუციაში II ნაწილის სახით შევიდა **ძირითად უფლებათა ქარტია**, რომელიც საჯაროდ საზეიმოდ გამოცხადდა ნიცის ევროპულ საბჭოზე 2000 წლის დეკემბერში.

II. ძირითად უფლებათა
ქარტია

კონსტიტუციის III ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის სხვადასხვა **პოლიტიკასა** და კავშირის ფუნქციონირებაზე. ამ ნაწილში არსებულ ხელშეკრულებათა მრავალი დებულება შევიდა.

III. ევროკავშირის
სხვადასხვა პოლიტიკა

IV ნაწილში მოცემულია საბოლოო დებულებები, მათ შორის, ამ კონსტიტუციის **მიღებისა** და **გადასინჯვის პროცედურები**.

IV. საბოლოო
დებულებები



3. კონსტიტუცია ევროპის მოქალაქეებისათვის

3.1. ევროკავშირის ფასეულობები და მიზნები

ხალხებისა და
სახელმწიფოების
კავშირი

ევროპის კონსტიტუცია აარსებს ევროკავშირს – ევროპის ხალხებისა და სახელმწიფოების კავშირს. ევროკავშირის კარი ღიაა ევროპის ყველა ქვეყნისათვის, რომელიც პატივს სცემს კავშირის ფასეულობებს და კისრულობს ამ ფასეულობათა ერთობლივად დაცვის ვალდებულებას.

ევროკავშირის
ფასეულობები

კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია ის ფასეულობები, რომლებსაც ევროკავშირი ეფუძნება: ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობის, კანონის უზენაესობის პატივისცემა, აგრეთვე, ადამიანის უფლებების პატივისცემა. ეს ფასეულობები საერთოა ნევრი სახელმწიფოებისთვის ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს პლურალიზმი, დისკრიმინაციის არარსებობა, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და მამაკაცებისა და ქალების თანასწორობა.

ევროკავშირის
სიმბოლოები: დროშა,
ჰიმნი, სლოგანი,
ფულადი ერთეული და
ევროპის დღე

კონსტიტუციაში შეტანილია ევროკავშირის რამდენიმე სიმბოლო. ევროპული დროშა წარმოადგენს ლურჯ ფონზე წრიულად განლაგებულ 12 ოქროსფერ ვარსკვლავს. ევროპული ჰიმნი ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის ბოლო ნაწილიდან - „სიხარულის ოდიდან“ - მომდინარეობს. ევროპული სლოგანია „გაერთიანებული მრავალფეროვნება“. ევროკავშირის ფულადი ერთეულია ევრო, ხოლო 9 მაისს მთელს ევროპაში ევროპის დღე აღინიშნება.

ძირითადი
თავისუფლებები
და დისკრიმინაციის
აკრძალვა

ევროკავშირის მიერ ხდება მთელს მის ტერიტორიაზე ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის, აგრეთვე, ორგანიზაციათა დაფუძნების თავისუფლების გარანტირება. კონსტიტუცია კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას ეროვნების ნიადაგზე.

ევროკავშირის მიზნები

ევროკავშირის მიზანია მშვიდობის, მისი ფასეულობებისა და მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისათვის კეთილდღეობის დამკვიდრების ხელშეწყობა. კავშირი თავის მოქალაქეებს სთავაზობს თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სივრცეს და საერთო ბაზარს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციით. ევროკავშირი ესწრაფის ისეთი ევროპის აშენებას, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მდგრადი განვითარება დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდაზე, ფასების სტაბილურობაზე, უაღრესად კონკურენტუნარიან სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე, გარემოს დაცვის მაღალ დონესა და გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაზე დაყრდნობით. კავშირი მხარს უჭერს სამეცნიერო და ტექნიკურ პროგრესს, ღებულობს ზომებს სოციალურ გარიყვასთან და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად და ხელს უწყობს მართლმსაჯულებასა და სოციალურ დაცვას, სქესთა თანასწორობას, თაობებს შორის სოლიდარობას და ბავშვთა უფლებების დაცვას. გარდა ამისა, ევროკავშირი ხელს უწყობს თავის ნევრ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკურ, სოციალურ და ტერიტორიულ ერთობას და სოლიდარობას.

ინსტრუმენტები,
რომლებიც ემსახურება
ევროკავშირის
მიზნების მიღწევას

ამ მიზნების მისაღწევად ევროკავშირს გააჩნია გარკვეული უფლებამოსილებანი, რომლებიც მას მისმა ნევრმა სახელმწიფოებმა მიანიჭეს კონსტიტუციით. ამ უფლებამოსილებათა განხორციელება ხდება თანამეგობრობის მეთოდისა და საერთო ინსტიტუციური სტრუქტურის ფარგლებში კონკრეტული ინსტრუმენტების გამოყენებით.

ევროკავშირმა პატივი უნდა სცეს თავისი წევრი სახელმწიფოების თანასწორობას კონსტიტუციის წინაშე, პატივი უნდა სცეს, აგრეთვე, წევრი სახელმწიფოების, მათი რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა **ეროვნულ თვითმყოფადობას**. ანალოგიურად, ევროკავშირმა პატივი უნდა სცეს **სახელმწიფოს არსებით ფუნქციებს**, მათ შორის იმ ფუნქციებს, რომლებიც ეხება ტერიტორიული მთლიანობის, კანონისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას. **ლოიალური თანამშრომლობის პრინციპის** მეშვეობით ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები, სრულ ურთიერთპატივისცემაზე დაყრდნობით, დაეხმარებიან ერთმანეთს კონსტიტუციით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაში. გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოები დაეხმარებიან ევროკავშირს მისი მისიის განხორციელებაში. მათ თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ისეთი ქმედებებისაგან, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კონსტიტუციაში განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები

ევროკავშირს გააჩნია სამართლებრივი სტატუსი საერთაშორისო არენაზე თავისი ფასეულობებისა და ინტერესების დასაცავად და ხორცშესახსმელად. მას დიდი წვლილი შეაქვს ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის, უსაფრთხოების, მდგრადი განვითარების საქმეში, ხალხებს შორის სოლიდარობასა და ურთიერთპატივისცემაში, თავისუფალ და პატიოსან ვაჭრობაში, სიღარიბის აღმოფხვრაში და ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით, ბავშვთა უფლებების, დაცვაში და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმართ პატივისცემასა და მის განმტკიცებაში.

ევროკავშირი და დანარჩენი მსოფლიო

ევროკავშირის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელებისას ევროკავშირის კონსტიტუციასა და კანონმდებლობას ენიჭება პრიორიტეტი წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობებთან შედარებით.

ევროკავშირის კანონმდებლობის პრიორიტეტულობა

3.2. ევროპის მოქალაქეობა და ძირითადი უფლებები

3.2.1 ევროპის მოქალაქეობა

ევროკავშირის მოქალაქეობა კი არ ანაცვლებს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობას, არამედ ემატება მას.

ევროკავშირის მოქალაქეობა დამატებით საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე

კონსტიტუციაში გარკვევით არის გარანტირებული ის უფლებები, რომლებიც ევროკავშირის მოქალაქეობიდან მომდინარეობს: **თავისუფლად გადაადგილებისა და ცხოვრების უფლება, ხმის მიცემის უფლება და უფლება, იყარო კენჭი ევროპის პარლამენტის არჩევნებსა და მუნიციპალურ არჩევნებში, უფლება დიპლომატიურ და კონსულის მხრიდან დაცვაზე, ევროპის პარლამენტისთვის პეტიციით მიმართვის უფლება, საკითხის ომბუდსმენისთვის განსახილველად გადაცემის და ინსტიტუტებისთვის ევროკავშირის ერთ-ერთ ენაზე მიწერისა და პასუხის იმავე ენაზე მიღების უფლება.**

ევროკავშირის მოქალაქეთა უფლებების ჩამონათვალი

ზემოთ მოცემული ჩამონათვალი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს. ევროკავშირის მოქალაქეთა სხვა უფლებები ჩამოთვლილია კონსტიტუციის საგანგებო თავში, რომელიც ეძღვნება „ევროკავშირის დემოკრატიულ ცხოვრებას“; ეს თავი ეხება შეხედულებების გამოხატვისა და გაზიარების შესაძლებლობას ყველა იმ სფეროსთან დაკავშირებით, რომლებშიც ევროკავშირი მოქმედებს, და ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ გამოშვებული **დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლებას**.

კონსტიტუციის ნაწილი ეძღვნება დემოკრატიულ ცხოვრებას



3.2.2 ძირითადი უფლებები

ძირითად უფლებათა
ქარტია ევროპის
კონსტიტუციის
განუყოფელი ნაწილია

ძირითად უფლებათა ქარტიის ტექსტი წინა კონვენტმა დაამტკიცა. პარლამენტმა, საბჭომ და კომისიამ საზეიმოდ გამოაცხადეს ქარტია 2000 წლის 8 დეკემბერს. მაგრამ ქარტია არ წარმოადგენდა ევროკავშირის ხელშეკრულებათა ნაწილს და არ ჰქონდა იურიდიულად სავალდებულო ძალა.

ასე რომ კონსტიტუცია წარმოადგენს მნიშვნელოვან მიღწევას, რომელიც ევროკავშირს აძლევს საშუალებას, ჰქონდეს **უფლებათა საკუთარი კომპლექტი**. ქარტია კონსტიტუციაში II ნაწილის სახით არის შეტანილი; მის დებულებებს იურიდიულად სავალდებულო ძალა აქვს, მაგრამ ეს არ გულისხმობს ევროკავშირის უფლებამოსილებათა გაფართოებას.

ევროკავშირის ინსტიტუტებმა, უწყებებმა და სააგენტოებმა პატივი უნდა სცენ ქარტიაში გათვალისწინებულ უფლებებს. იგივე ვალდებულებები ეკისრებათ წევრ სახელმწიფოებს კავშირის კანონმდებლობის განხორციელებისას. ქარტიის დებულებათა შესრულებას მართლმსაჯულების სასამართლო უზრუნველყოფს.

ქარტიის შინაარსს წინა კონვენტის მიერ მომზადებულ ტექსტთან შედარებით არ განუცდია არანაირი ცვლილება; შეიცვალა მხოლოდ ფორმა.

ქარტიის შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე რომში 1950 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილი და ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული **ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია)** შინაარსი. მართლაც, მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით არის შეზღუდული, ძირითად უფლებათა ქარტია ეხება ისეთ სფეროებს, როგორიც არის უფლება კარგ მართვაზე, მშრომელთა სოციალური უფლებები, პირადი მონაცემების დაცვა და ბიოეთიკა.

ადამიანის უფლებათა
ევროპული კონვენციის
მიღება ევროკავშირის
მიერ

არსებულ ხელშეკრულებათა პირობების მიხედვით ევროკავშირს არ ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღების კომპეტენცია. ამის საპირისპიროდ, კონსტიტუციაში მოცემულია მკაფიო დებულება ევროკავშირის მიერ მომავალში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღების თაობაზე. რაც შეეხება კონსტიტუციაში ქარტიის შეტანას, ევროკავშირის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღება არ გულისხმობს რაიმე ცვლილებას ევროკავშირის უფლებამოსილებებისა, რომლებიც კონსტიტუციაშია განსაზღვრული. კონსტიტუციაში ქარტიის სრულად შეტანა და ევროკავშირის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღება ერთმანეთის პარალელური და არა ალტერნატიული ნაბიჯებია.

3.3 ვის რა ფუნქცია აკისრია ევროკავშირში? უფლებამოსილებათა განმარტება

კონსტიტუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა ის არის, რომ მასში გარკვევით არის ჩამოყალიბებული ევროკავშირის უფლებამოსილებები ანუ კომპეტენციები და მისი ინსტიტუტების შესაბამისი როლები.

უფლებამოსილებათა
კლასიფიკაცია

ევროკავშირს შეუძლია მოქმედება მხოლოდ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რომლებიც მას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. კონსტიტუციაში მკაფიოდ არის განსაზღვრული ის საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც ნევრმა სახელმწიფოებმა **ევროკავშირს მიანიჭეს ქმედების უფლებამოსილება**, და მითითებულია **ევროკავშირის კომპეტენციათა კატეგორიები**.

პირველი კატეგორია შედგება გარკვეული, ძალზე სპეციფიკური სფეროებისგან, რომლებშიც ევროკავშირი მოქმედებს დამოუკიდებლად ყველა თავისი ნევრი სახელმწიფოს სახელით. ეს არის ე.წ. **„ექსკლუზიური“ კომპეტენციები**. ეს ის სფეროებია, რომლებშიც ქმედება ევროკავშირის დონეზე უფრო ეფექტიანია, ვიდრე ნევრ სახელმწიფოთა ქმედება ცალ-ცალკე.

ევროკავშირის
ექსკლუზიური
კომპეტენცია

ამ კატეგორიაში შედის:

- საბაჟო კავშირი;
- შიდა ბაზრის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კონკურენციის წესების დადგენა;
- იმ ნევრი ქვეყნების მონეტარული პოლიტიკა, რომელთა ფულადი ერთეულია ევრო;
- საზღვაო ბიოლოგიური რესურსების კონსერვაცია თევზის რეწვის საერთო პოლიტიკის საფუძველზე;
- საერთო კომერციული პოლიტიკა.

მეორე კატეგორიაში დაჯგუფებულია ის სფეროები, რომლებშიც ევროკავშირის მოქმედებას ნევრი სახელმწიფოების მოქმედებისთვის დამატებითი ფასეულობის მოტანა შეუძლია, ზოგჯერ ძალზე კომპლექსური სახით. ამ კატეგორიის კომპეტენციას **„საერთო კომპეტენცია“** ეწოდება.

ამ კატეგორიაში შედის:

- შიდა ბაზარი;
- სოციალური პოლიტიკის გარკვეული ასპექტები;
- ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობა;
- სოფლის მეურნეობა და თევზის რეწვა (ზღვის ბიოლოგიური რესურსების კონსერვაციის გარდა);
- გარემოს დაცვა;
- მომხმარებელთა დაცვა;
- ტრანსპორტი;
- ტრანსევროპული ქსელები;
- ენერგეტიკა;
- თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სივრცე;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ზოგადი უსაფრთხოების გარკვეული ასპექტები;
- გარკვეული უფლებამოსილებები კვლევის, ტექნოლოგიური განვითარებისა და კოსმოსის სფეროებში;
- გარკვეული უფლებამოსილებები განვითარების სფეროში თანამშრომლობასა და ჰუმანიტარულ დახმარებაში.



წევრ სახელმწიფოთა
ეკონომიკური და
დასაქმების პოლიტიკის
კოორდინირება

წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზოგიერთ სხვა სფეროში, სახელდობრ, ეკონომიკურ და დასაქმების პოლიტიკაში, საჭიროა მათი ეროვნული პოლიტიკის კოორდინირება ევროკავშირის მასშტაბით.

საერთო საგარეო და
უშიშროების პოლიტიკა

კონსტიტუციაში გათვალისწინებულია, აგრეთვე, რომ ევროკავშირის კომპეტენციაში შედის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, საერთო თავდაცვის პოლიტიკის თანმიმდევრული ჩამოყალიბების ჩათვლით.

კომპეტენციები,
რომლებიც
ხელშეწყობას
გულისხმობს

უფლებამოსილებათა უკანასკნელ კატეგორიაში, ე.წ. „ხელშეწყობი ხასიათის“ მქონე უფლებამოსილებათა სფეროში ევროკავშირი მოქმედებს მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ ქმედებათა კოორდინირებისა თუ დამატებითი ქმედების განხორციელების მიზნით. შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ მოქმედების მნიშვნელოვან თავისუფლებას და მართვის ძირითად პასუხისმგებლობას საკუთარ მოქალაქეებთან მიმართებაში. ევროკავშირს არ შეუძლია ამ სფეროებში ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზება.

უფლებამოსილებათა ამ კატეგორიაში შედის:

- ზომები ადამიანთა ჯანმრთელობის დასაცავად და გასაუმჯობესებლად;
- მრეწველობა;
- კულტურა;
- ტურიზმი;
- განათლება, ახალგაზრდობა, სპორტი და პროფესიული მომზადება;
- მოქალაქეთა დაცვა;
- ადმინისტრაციული თანამშრომლობა.

უფლებამოსილებათა
კლასიფიკაციას
ავრცობს მოქნილობის
შესანარჩუნებელი
მუხლი

სისტემაში გარკვეული მოქნილობის შესანარჩუნებლად კონსტიტუციაში არსებობს მუხლი, რომელიც უფლებას ანიჭებს საბჭოს, გააფართოოს ევროკავშირისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებში არსებული შეზღუდვები, როდესაც კონსტიტუციაში განსაზღვრული რომელიმე მიზნის მისაღწევად საჭიროა მოქმედება ევროკავშირის დონეზე. ასეთ შემთხვევებში, ევროპის პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ, საბჭო მიიღებს ერთსულოვან გადაწყვეტილებას.

3.4 სუბსიდიარობის პრინციპი: უფლებამოსილებათა სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა

სუბსიდიარობის პრინციპის დანიშნულებაა უზრუნველყოს, რომ როდესაც ევროკავშირი ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, მან იმოქმედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებარეალურად საჭიროა და დამატებით ღირებულებას სძენს ნევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ ქმედებას. სუბსიდიარობის პრინციპის მიზანია, აგრეთვე, უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილებები მიღებული იქნეს ადამიანებთან რაც შეიძლება ახლო დონეზე და მუდმივად კონტროლდებოდეს, რამდენად გამართლებულია თანამეგობრობის მიერ განხორციელებული ქმედება იმ ქმედებასთან მიმართებაში, რომლის განხორციელებაც ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეებზეა შესაძლებელი. **პროპორციულობის** პრინციპიც იმავე მიზანს ისახავს — უზრუნველყოს უფლებამოსილებათა სათანადო განხორციელება, და, აგრეთვე, ითვალისწინებს, რომ ევროკავშირის ქმედების შინაარსი და ფორმა არ უნდა აჭარბებდეს იმას, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით დასახული ამოცანების მისაღწევად.

სუბსიდიარობისა და პროპორციულობის პრინციპები

კონსტიტუცია განამტკიცებს ორივე აღნიშნული პრინციპის გამოყენებას. როდესაც **კომისია** წამოჭრის წინადადებას, მან უნდა **განმარტოს**, თუ როგორ გაითვალისწინა ეს ორი პრინციპი. პირველად ისტორიაში **ყველა ნევრი ქვეყნის პარლამენტს** ექნება უფლება, ხელახლა განიხილოს წინადადებები და გამოსცეს დასაბუთებული დასკვნა, თუკი მიიჩნევს, რომ სუბსიდიარობის პრინციპი არ იყო ჯეროვნად გათვალისწინებული. თუ პარლამენტთა ერთი მესამედი ერთსა და იმავე დასკვნას გაიზიარებს, კომისიას მოუწევს თავისი წინადადების გადასინჯვა.

ახალი მექანიზმი სუბსიდიარობის პრინციპთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად...

კანონის მიღების შემდეგ შემოღებული იქნება კონტროლის ყველაზე მაღალი დონე — **მართლმსაჯულების სასამართლოსთვის** მიმართვის უფლება.

... რასაც ემატება იურიდიული კონტროლი

3.5 ლეგიტიმური და დემოკრატიული ევროკავშირი

პირველად ისტორიაში კონსტიტუციაში განსაზღვრულია ევროკავშირის **დემოკრატიული საფუძვლები** და მათთვის უფრო ხელშესახები მნიშვნელობაა მინიჭებული.

დემოკრატიული მონაწილეობა — ევროკავშირის ქვაკუთხედი

კონსტიტუცია ინსტიტუტებს ახალ ვალდებულებებს აკისრებს **სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტირების, გამჭვირვალების, დოკუმენტების ხელმისაწვდომობისა** და პირად მონაცემთა მიმართ პატივისცემის თვალსაზრისით. გარდა ამისა, კონსტიტუციაში გათვალისწინებულია სოციალურ პარტნიორობა როლი. ევროკავშირი რეგულარულ დიალოგს აწარმოებს, აგრეთვე, ეკლესიებთან და არაეკლესიურ ორგანიზაციებთან.

როგორ უნდა მივაღწიოთ დემოკრატიული მონაწილეობის გაუმჯობესებას?

კონსტიტუცია ამკვიდრებს ახალ მექანიზმს, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობის პროცესში ევროკავშირის მოქალაქეთა მონაწილეობას, თუკი მათი რაოდენობა სულ მცირე მილიონია და ისინი წარმოადგენენ ნევრ სახელმწიფოთა უმრავლესობას. ამ ახალი მექანიზმის გამოყენებით მოქალაქეებს შეუძლიათ სთხოვონ კომისიას, წარუდგინოს კანონმდებელს საკანონმდებლო წინადადება, რომლის მიღებაც მათ აუცილებლად მიაჩნიათ.

მოქალაქეთა მიერ შემოთავაზებული კანონები



წვერი ქვეყნების
პარლამენტების როლის
გაძლიერება

წვერი ქვეყნების ეროვნულმა პარლამენტებმა, რომლებიც კონვენტში უმრავლესობას წარმოადგენენ, კონვენტის წევრებს მოუწოდეს, მოეძიებინათ ევროპული ინტეგრაციის პროცესში ეროვნული პარლამენტების როლის გაფართოების გზები. **საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობა** ეროვნულ პარლამენტებს მისცემს შესაძლებლობას, გააუმჯობესონ საბჭოში თავ-თავიანთი მთავრობების პოზიციების მონიტორინგი, ხოლო სუბსიდიარობის პრინციპთან დაკავშირებული „ადრეული გაფრთხილების“ მექანიზმი უშუალოდ მისცემს მათ საშუალებას, ზეგავლენა მოახდინონ საკანონმდებლო პროცესზე. ამ მექანიზმის მეშვეობით ეროვნული პარლამენტები ინფორმირებულნი იქნებიან კომისიის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ახალი ქმედების შესახებ და, თუკი მათი მესამედი მიიჩნევს, რომ წინადადება არ შეესაბამება სუბსიდიარობის პრინციპს, კომისიას თავისი წინადადების გადასინჯვა მოუწევს. პარლამენტების როლს ევროკავშირში განამტკიცებს, აგრეთვე, პარლამენტთაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება.

3.6 ევროკავშირის წევრობა

ევროკავშირში
განწევრიანება: კავშირის
ფასეულობათა
პატივისცემის
ვალდებულება

ევროკავშირში გასაწევრიანებლად ევროპის სახელმწიფო **პატივს უნდა სცემდეს** კავშირის ფასეულობებს.

სახელმწიფოს განწევრიანებისთვის აუცილებელია საბჭოს **ერთსულოვანი** გადანყვეტილება, ევროპის პარლამენტის მიერ დამტკიცება და განწევრიანების თაობაზე ხელშეკრულების რატიფიცირება ყველა წვერი სახელმწიფოს მიერ.

უფლებების შეჩერება
ევროკავშირის
ფასეულობათა
შეუსრულებლობის
შემთხვევაში

ერთსულოვნად (კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს ის სახელმწიფო, რომელსაც საქმე ეხება) მიღებული გადანყვეტილების საფუძველზე და ევროპის პარლამენტის მიერ დამტკიცების (ორი მესამედის უმრავლესობით) შემდეგ ევროპულ საბჭოს შეუძლია დააფიქსიროს **წვერი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის ფასეულობათა სერიოზული** და ხანგრძლივი დარღვევა, რის შემდეგაც საბჭოს შეუძლია, კვალიფიცირებული უმრავლესობით, შეაჩეროს ამ წვერი სახელმწიფოს უფლებები.

კონსტიტუციაში წვერი
სახელმწიფოსთვის
ევროკავშირიდან
გასვლის
შესაძლებლობის
შემოღება

კონსტიტუციით შემოღებულია სიახლე - ნებისმიერ წვერ სახელმწიფოს, თავისი კონსტიტუციური წესების შესაბამისად, შეუძლია მიიღოს გადანყვეტილება **ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე**. ასეთ შემთხვევაში ევროკავშირთან მისი ურთიერთობების რეგულირება მოხდება მასსა და კავშირს შორის დადებული ხელშეკრულებით.

4. ინსტიტუტები და ევროპული პროექტი

ევროპული პროექტის ხორცშესახსმელად და ევროკავშირისთვის მისი მიზნების მიღწევის შესაძლებლობის მისაცემად საჭიროა ქმედითი და კანონიერი ინსტიტუციური სტრუქტურა. ეს ორმხრივი საჭიროება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია 25 ან მეტი წევრისგან შემდგარ, გაფართოებულ ევროკავშირში. კონსტიტუციაში დაჯგუფებულია არსებული ინსტიტუციური დებულებები და შემოღებულია ორი ახალი ინსტიტუციური ელემენტი: ევროპული საბჭოს უფრო სტაბილური პრეზიდენტობა და საგარეო საქმეთა მინისტრი.

4.1 ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა

კონსტიტუციის პირობების მიხედვით, ინსტიტუციურ სტრუქტურაში შედიან შემდეგი ინსტიტუტები: **ევროპის პარლამენტი, ევროპული საბჭო, მინისტრთა საბჭო, ევროკომისია და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო.**

ევროკავშირის ეკონომიკურ და მონეტარულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცენტრალური ევროპული ბანკი, ხოლო აუდიტორთა სასამართლო უზრუნველყოფს ევროკავშირის შემოსავლებისა და ხარჯების შემოწმებას.

ამ ინსტიტუტებთან ერთად მოქმედებს ორი საკონსულტაციო უწყება: **რეგიონული კომიტეტი და ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.**

4.1.1 ევროპის პარლამენტი

ევროპის პარლამენტი არის ინსტიტუტი, რომელშიც წარმოდგენილი არიან წევრ სახელმწიფოთა ხალხები. უმეტეს სფეროებში პარლამენტს აკისრია **კანონშემოქმედებაში მონაწილის** როლი, საბჭოსთან ერთად წარმოადგენს **ბიუჯეტის მიმღებ ორგანოს** და გარდა ამისა, ახორციელებს გარკვეულ **პოლიტიკურ კონტროლს** ევროკომისიაზე.

კონსტიტუცია აფართოებს ევროპის პარლამენტის უფლებამოსილებას კანონშემოქმედებაში მონაწილეობის თვალსაზრისით: მასში დამატებულია სფეროები, რომლებშიც მოქმედებს ე.წ. გადანყვეტილებათა ერთობლივად მიღების პროცედურა. ამ პროცედურას ამიერიდან **საკანონმდებლო პროცედურა** ეწოდება; მის საფუძველზე პარლამენტი საბჭოსთან ერთად ღებულობს საკანონმდებლო გადანყვეტილებებს.

კონსტიტუცია ადგენს, რომ ევროპის პარლამენტის წევრთა (რომელთა არჩევა პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით, ხუთი წლის ვადით ხდება) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 750-ს. დეგრესიული პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით, თითოეულ წევრ სახელმწიფოს პარლამენტში აქვს სულ მცირე 6 და ყველაზე მეტი 96 ადგილი. თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის გამოყოფილ ადგილთა ზუსტი რაოდენობა 2009 წლის ევროპულ არჩევნებამდე დადგინდება.

ევროპის პარლამენტი:
საკანონმდებლო,
საბიუჯეტო და
პოლიტიკური
კონტროლი

პარლამენტისა
და საბჭოს მიერ
საკანონმდებლო
გადაწყვეტილებათა
ერთობლივად
მიღების პროცედურის
გაფართოება

ევროპის პარლამენტის
წევრთა რაოდენობა:
ყველაზე მეტი, 750
წევრი



4.1.2 ევროპული საბჭო

ევროპული საბჭოს როლი	ევროპული საბჭო პასუხისმგებელია ევროკავშირისთვის იმ პოლიტიკური სტიმულის უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია კავშირის განვითარებისთვის. საბჭოს არ აკისრია საკანონმდებლო ფუნქციები. თავის გადაწყვეტილებებს საბჭო კონსენსუსის გზით იღებს. კონსტიტუციის მიხედვით, ევროპული საბჭოს შეხვედრები კვარტალში ერთხელ უნდა შედგეს.
ევროპული საბჭოს შემადგენლობა	ევროპული საბჭოს შემადგენლობაში შედიან წევრი ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები , საბჭოს პრეზიდენტი (ახალი ფიგურა ევროკავშირის ინსტიტუციურ წყობაში) და ევროკომისიის პრეზიდენტი . კონსტიტუციის პირობების მიხედვით, ევროპის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს, აგრეთვე, ევროკავშირის კიდევ ერთი ახალი ფიგურა - საგარეო საქმეთა მინისტრი .
ახალი ფიგურა ევროკავშირის ინსტიტუციურ სტრუქტურაში: ევროპული საბჭოს პრეზიდენტი	ამჟამად ევროპულ საბჭოს, ისევე, როგორც მის ყველა ორგანოს, თავმჯდომარეობს წევრი სახელმწიფო, რომელსაც უკავია ევროკავშირის ექვსთვიანი თავმჯდომარის ადგილი წინასწარ დადგენილი რიგის მიხედვით. კონსტიტუცია ცვლის ამ სისტემას და აარსებს ევროპული საბჭოს პერმანენტული პრეზიდენტის ადგილს. პრეზიდენტს ირჩევს ევროპული საბჭო ორნახევარი წლის პერიოდით. შესაძლებელია ამ პერიოდის ერთხელ გაგრძელება.
	პრეზიდენტის როლი გულისხმობს ევროპული საბჭოს მუშაობის გაძღოლას. გარდა ამისა, საბჭოს პრეზიდენტი იქნება ევროკავშირის უმაღლესი დონის წარმომადგენელი საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში.

4.1.3 მინისტრთა საბჭო

მინისტრთა საბჭოს როლი	მინისტრთა საბჭო არის ევროკავშირის ინსტიტუტი, რომელშიც წარმოდგენილი არიან წევრი სახელმწიფოების მთავრობები . ევროპის პარლამენტთან ერთად საბჭო ასრულებს საკანონმდებლო და ბიუჯეტის შესრულების მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციებს. გარდა ამისა, მინისტრთა საბჭო არის წამყვანი ინსტიტუტი საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებათა მიღებაში და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირებაში.
მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა	მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედის ყოველი წევრი სახელმწიფოს მიერ დანიშნული თითო წარმომადგენელი მინისტრი. საბჭოს შეხვედრებს სხვადასხვა ფორმა აქვს. მაგალითად, როდესაც საბჭოს მისაღები აქვს გადაწყვეტილებები სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის სფეროში, გარკვეული ფორმატის შეხვედრებზე იკრიბებიან სოფლის მეურნეობის მინისტრები.

ამჟამად მინისტრთა საბჭოს ყველა ორგანოს როტაციის პრინციპზე დაყრდნობით ექვსი თვის ვადით თავმჯდომარეობს ერთი წევრი სახელმწიფო. კონსტიტუციას ამ სისტემაში არ შეაქვს რაიმე ძირეული ცვლილება. თუმცა გადანყდა, რომ თავმჯდომარეობა უნდა იცვლებოდეს 18 თვის ვადით შექმნილი სამი ქვეყნისგან შემდგარი ჯგუფების ფარგლებში. სისტემა მომავალში შეიძლება შეიცვალოს, ვინაიდან ევროპულ საბჭოს შეეძლება მასში შესწორებების შეტანა ხმათა კვალიფიცირებულ უმრავლესობაზე დაყრდნობით. „ზოგად საკითხთა საბჭოს“ თავმჯდომარე საგარეო საქმეთა მინისტრი იქნება. წევრ სახელმწიფოებს შორის როტაციის ამ სისტემის გამოყენების წესებს ევროპული საბჭო დაადგენს, სხვა საკითხებთან ერთად ევროპაში არსებული ზოგადი გეოგრაფიული ბალანსის გათვალისწინებით.

მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეობა

4.1.4 ევროკომისია

ევროკომისია შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანოს სახით ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს **საერთო ევროპული ინტერესების წარმოდგენის** მიზნით. კომისია საკანონმდებლო პროცესის მამოძრავებელი ძალაა — **იგი წამოჭრის იმ კანონებთან დაკავშირებულ წინადადებებს, რომლებზეც შემდეგ ევროპის პარლამენტმა და მინისტრთა საბჭომ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება.**

კომისიის როლი

ევროკომისია უზრუნველყოფს **სხვადასხვა საერთო პოლიტიკის** (მაგალითად, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის) **დაგეგმვას და გატარებას**, მართავს **ბიუჯეტს** და **წარმართავს** თანამეგობრობის პროგრამებს. თანამეგობრობის სხვადასხვა პოლიტიკისა და პროგრამების ყოველდღიური მართვის მიზნით კომისია მნიშვნელოვნად ეყრდნობა ადმინისტრატორებს წევრი ქვეყნებიდან.

საგარეო ურთიერთობათა სფეროში **ევროკომისია წარმოადგენს ევროკავშირს** და აწარმოებს საერთაშორისო მოლაპარაკებებს (მაგალითად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში). კონსტიტუციის მიხედვით, ევროკავშირის წარმომადგენლობას საგარეო არენაზე საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში საგარეო საქმეთა მინისტრი უზრუნველყოფს.

და ბოლოს, ევროკომისია **თვალყურს ადევნებს, რომ ხელშეკრულების დებულებები** და თანამეგობრობის ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მაგალითად, კონკურენციის სფეროში, **სათანადოდ შესრულდეს.**

ევროკომისია კოლექტიურად არის **ანგარიშვალდებული** ევროპის პარლამენტის წინაშე. ამ უკანასკნელს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს კომისიას. ასეთ შემთხვევაში კომისია ვალდებულია, მთელი შემადგენლობით გადადგეს.

ევროკომისია
ანგარიშვალდებულია
ევროპარლამენტის
წინაშე

თავის გადაწყვეტილებებს ევროკომისია უბრალო უმრავლესობით ღებულობს.



ევროკომისიის
შემადგენლობა:
კომისიის თითო
წევრი ყოველი წევრი
სახელმწიფოდან
2014 წლამდე,
ხოლო ამ თარიღის
შემდეგ კომისიის
წევრთა რაოდენობა
შეიზღუდება წევრ
სახელმწიფოთა
რაოდენობის ორ
მესამედამდე

ევროკომისიის მოღვაწეობის დაწყებიდან მის შემადგენლობაში შედიოდა ყველაზე მჭიდროდ დასახლებული წევრი სახელმწიფოების ორი მოქალაქე და დანარჩენების თითო მოქალაქე. ნიცის ხელშეკრულებამ დააწესა, რომ კომისიაში უნდა შედიოდეს თითო მოქალაქე ყოველი წევრი სახელმწიფოდან. ამიტომ სწორედ ასეთი შემადგენლობა ექნება იმ კომისიას, რომელიც 2004 წლის 1 ნოემბერს უნდა დაინიშნოს. კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ 2014 წლისათვის კომისიის შემადგენლობა შემცირდება და გაუტოლდება წევრ სახელმწიფოთა რაოდენობის ორ მესამედს. კომისიის წევრთა შერჩევა მოხდება როტაციის პრინციპზე დაყრდნობით და დამოკიდებულება ყველა წევრი სახელმწიფოსადმი თანასწორი იქნება.

კომისიის
პრეზიდენტისა და
წევრების დანიშვნა

კონვენტის მუშაობას შედეგად არ მოჰყოლია რაიმე ძირეული ცვლილება ევროკომისიის პრეზიდენტის დანიშვნაში, მაგრამ კონსტიტუციაში გარკვევით არის მითითებული, რომ ევროპის პარლამენტისთვის კომისიის პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენისას ევროპულმა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ევროპული არჩევნების შედეგები.

კომისიის არჩეულ პრეზიდენტთან შეთანხმებით საბჭო ღებულობს კომისიის მომავალ წევრთა სიას წევრი სახელმწიფოების წინადადებათა საფუძველზე.

ამჟამად მოქმედი პრაქტიკის ანალოგიურად, ევროკომისიის პრეზიდენტისა და წევრების (რომლებიც ხუთი წლის ვადით ინიშნებიან) დამტკიცება ევროპარლამენტის მიერ მოხდება კენჭისყრით.

4.1.5 საგარეო საქმეთა მინისტრი

სიახლე: საგარეო
საქმეთა მინისტრი:
ევროკავშირის ხმა
საერთაშორისო
არენაზე

საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის დაარსება კონსტიტუციით შემოღებული ერთ-ერთი უმთავრესი სიახლეა. ეს ახალი როლი მეტ თანმიმდევრულობას შესძენს ევროკავშირის საგარეო საქმიანობას როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროებში. სხვა ქვეყნები უფრო ადვილად აღიქვამენ ევროკავშირის ხმას.

დღესდღეობით ორი ადამიანისთვის (საბჭოს გენერალური მდივნისთვის - საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი წარმომადგენლისთვის, და კომისიის იმ წევრისთვის, რომელსაც საგარეო ურთიერთობებზე აკისრია პასუხისმგებლობა) დაკისრებული ფუნქციების შესრულებით მინისტრი, ხატოვნად რომ ვთქვათ, „ორ სკამზე დაჯდება“. ამგვარად, საგარეო საქმეთა მინისტრი იქნება როგორც საბჭოს წარმომადგენელი საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში, ისე კომისიის წევრი, რომელსაც საგარეო ურთიერთობებზე აკისრია პასუხისმგებლობა (გარდა ამისა, მინისტრი კომისიის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტიც იქნება). იგი იქნება, აგრეთვე, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარე და თვალყურს მიადევნებს იმას, რომ ევროკავშირის საგარეო საქმიანობას თანმიმდევრული ხასიათი ჰქონდეს.

საგარეო საქმეთა
მინისტრის დანიშვნა

საგარეო საქმეთა მინისტრი დაინიშნება ევროპული საბჭოს ხმათა კვალიფიცირებული უმრავლესობით, ევროკომისიის პრეზიდენტის თანხმობის საფუძველზე.

4.1.6 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

კონსტიტუციის მიხედვით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შემადგენლობაში შედიან მართლმსაჯულების სასამართლო, უმაღლესი სასამართლო (ამჟამად ეწოდება პირველი ინსტანციის სასამართლო) და სპეციალიზებული სასამართლოები. მართლმსაჯულების სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს შემადგენლობაში შედის სულ მცირე თითო მოსამართლე ყოველი წევრი სახელმწიფოდან.

მართლმსაჯულების
სასამართლოს
შემადგენლობა

მართლმსაჯულების სასამართლო პასუხისმგებელია **თანამეგობრობის კანონმდებლობის განხორციელებაზე**. მას მინიჭებული აქვს იურისდიქცია იმ დავებთან დაკავშირებით, რომლებიც წამოიჭრება წევრ სახელმწიფოებს შორის, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის, ინსტიტუტებს შორის და კერძო პირებსა და ევროკავშირს შორის. გარდა ამისა, მართლმსაჯულების სასამართლოს შეუძლია გასცეს პასუხები ეროვნული სასამართლოების მიერ განხილული დავების მოსმენის პროცესში წამოჭრილ კითხვებს თანამეგობრობის კანონმდებლობის ინტერპრეტირებასთან დაკავშირებით. მართლმსაჯულების სასამართლოს ამ უფლებამოსილებას, რომელიც გულისხმობს წინასწარი დადგენილებების გამოტანას, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის მასშტაბით თანამეგობრობის კანონმდებლობის ერთნაირი ინტერპრეტირების უზრუნველსაყოფად.

მართლმსაჯულების
სასამართლოს როლი

კონსტიტუცია უფლებას აძლევს საზოგადოების წევრებს და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, უფრო ადვილად აღძრან საქმე ევროკავშირის მარეგულირებელი აქტების წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს აქტები უშუალოდ მათზე არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას (როგორც ეს ამჟამად მოქმედ ხელშეკრულებებშია ჩამოყალიბებული).

4.1.7 ცენტრალური ევროპული ბანკი

მონეტარული კავშირის დაარსებისა და საერთო ფულადი ერთეულის - ევროს - შემოღების შედეგად ჩამოყალიბდა ცენტრალური ევროპული ბანკი. 1999 წლიდან ბანკის ფუნქციაა ევროპის მონეტარული პოლიტიკის გატარება, როგორც ეს განსაზღვრულია ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის მიერ, სახელდობრ, ცენტრალური ევროპული ბანკის გადანაცვლებათა მიმღები სტრუქტურები (მმართველი საბჭო და აღმასრულებელი საბჭო) ხელმძღვანელობენ ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას, რაც მიზნად ისახავს ფულადი მარაგების ზრდის მართვას, გაცვლის ოპერაციების წარმოებას, წევრ სახელმწიფოთა ოფიციალური სავალუტო რეზერვების შენახვას და მართვას და გადახდების სისტემათა შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას. ცენტრალური ევროპული ბანკის უპირველესი ამოცანაა ფასების სტაბილურობის შენარჩუნება.

ცენტრალური
ევროპული ბანკი
ატარებს ევროპის
მონეტარულ
პოლიტიკას

4.1.8 აუდიტორთა სასამართლო

აუდიტორთა სასამართლო **მონიტორინგს უწევს** ევროკავშირის ანგარიშებს, ამოწმებს ევროკავშირის **ბიუჯეტში** შემოსავლებისა და ხარჯების კანონიერებას და უზრუნველყოფს სათანადო ფინანსურ მართვას. სასამართლოს შემადგენლობაში შედის თითო წარმომადგენელი ყოველი წევრი სახელმწიფოდან.

აუდიტორთა
სასამართლო
მონიტორინგს უწევს
შემოსავლებსა და
ხარჯებს



4.1.9 რეგიონული კომიტეტი

რეგიონული კომიტეტი: საკონსულტაციო ორგანო	რეგიონულ კომიტეტში შედიან ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების წარმომადგენლები. ევროპის პარლამენტი, საბჭო და კომისია ატარებენ კონსულტაციებს კომიტეტთან იმ სფეროებში, რომლებიც ეხება რეგიონულ და ადგილობრივ ინტერესებს, მათ შორის, განათლების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეკონომიკისა და სოციალური ერთობის სფეროებში.
რეგიონული კომიტეტის შემადგენლობა	რეგიონულ კომიტეტში შემავალ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 350 ადამიანს. წევრები ინიშნებიან საბჭოს მიერ ხუთი წლის ვადით.

4.1.10 ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი ⁽¹⁾

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი: საკონსულტაციო ორგანო	ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი, რომელიც შედგება ეკონომიკური და სოციალური სექტორებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან, ინსტიტუტებს აძლევს საკონსულტაციო დასკვნებს, განსაკუთრებით საკანონმდებლო პროცედურის ფარგლებში. შიდა ბაზართან, განათლებასთან, მომხმარებელთა დაცვასთან, გარემოს დაცვასთან, რეგიონულ განვითარებასთან და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული მრავალი აქტის მიღებამდე ევროპის პარლამენტი, საბჭო ან კომისია ატარებენ კონსულტაციებს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტთან.
ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტის შემადგენლობა	ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტში შემავალ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 350 ადამიანს. წევრები ინიშნებიან საბჭოს მიერ ხუთი წლის ვადით.

(1) საკონსტიტუციო ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინოლოგიით, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

5. ევროკავშირის სამოქმედო ინსტრუმენტები

5.1 ინსტრუმენტების გამარტივება

ევროკავშირის ხელთ არსებული სამოქმედო ინსტრუმენტების გამარტივებას საგანგებო თავი მიეძღვნა ლაკენის დეკლარაციაში, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ევროპული კონვენტის მანდატი. კონვენტის მიერ შესრულებულმა სამუშაომ შესაძლებელი გახადა არსებული სისტემის გამარტივება.

იმ ინსტრუმენტების გამარტივება, რომლებსაც ევროკავშირი იყენებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას

კონსტიტუცია აქტების სახეებს ექვს ინსტრუმენტად (კანონი, ჩარჩო-კანონი, დირექტივა, გადაწყვეტილება, რეკომენდაცია და დასკვნა) ზღუდავს. ევროპული საბჭოს ლაკენის სხდომამდე წარმოთქმულ სახელგანთქმულ სიტყვაში ბელგიის პრემიერ-მინისტრმა აქტების 36 სხვადასხვა სახის არსებობაზე მიუთითა!

ყველა ნივთი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემის ანალოგიურად, დაარსდა იერარქია საკანონმდებლო და კანონთა განხორციელების დონეებს შორის.

საკანონმდებლო დონე და კანონთა განხორციელების დონე

კანონი დაადგენს მოცემული სფეროს არსებით ელემენტებს, ხოლო უფრო ტექნიკური ასპექტების განსაზღვრის დელეგირება შესაძლებელია ევროკომისიისთვის კანონშემოქმედების პროცესის ორი მონაწილის მეთვალყურეობით. ეს შეუმსუბუქებს დატვირთვას კომისიას, რომელიც ამის შედეგად შეძლებს ყურადღების გამახვილებას ევროპის ხალხთა ცხოვრების უფრო მნიშვნელოვან ასპექტებზე.

კონსტიტუციის პირობების მიხედვით, კომისიას დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ დელეგირებული დირექტივების მიღებაზე, რომლებიც გააფართოებს და/ან შეასწორებს კანონის ზოგიერთ არაარსებით ელემენტებს, კანონშემოქმედების პროცესის ორი მონაწილის მხრიდან კონტროლის პირობით.

კანონის არაარსებით ელემენტებში შესწორებების შეტანა

5.2 საკანონმდებლო პროცედურა

საკანონმდებლო პროცედურა, რომელსაც ამჟამად გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების პროცედურა ეწოდება, ევროპის პარლამენტს ანიჭებს უფლებამოსილებას, მინისტრთა საბჭოსთან თანასწორი უფლებით მიიღოს მონაწილეობა კანონშემოქმედების პროცესში. ამ პროცედურის პირობების მიხედვით, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტირების შემდეგ კომისიის მიერ შემოთავაზებულ ტექსტს ერთობლივად იღებენ ევროპის პარლამენტი და მინისტრთა საბჭო.

ევროპარლამენტისა და მინისტრთა საბჭოს თანამონაწილეობა კანონშემოქმედების პროცესში

კონსტიტუციის საფუძველზე გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების პროცედურის განზოგადება ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურის დაწესების სახით ასახავს კანონშემოქმედების პროცესის სახელმწიფოების (საბჭოს) და ხალხების (ევროპის პარლამენტის) მიერ წარმართვის ორმხრივ ბუნებას, რაც ევროკავშირის უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში იქნება სპეციალური კანონებიც, რომლებსაც მიიღებს მხოლოდ საბჭო ან, უფრო იშვიათად, მხოლოდ პარლამენტი. კონსტიტუციის მიხედვით, საბჭომ გადაწყვეტილებები ხმათა უმრავლესობის საფუძველზე უნდა მიიღოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონსტიტუციაში გათვალისწინებულია სხვა პროცედურა, მაგალითად, ერთსულოვნება კენჭისყრისას.

კენჭისყრა საბჭოში



ხმათა
კვალიფიცირებული
უმრავლესობის
განმარტება

„კვალიფიცირებული უმრავლესობა“ ამჟამად გამოითვლება გაზომვის სისტემით, რომელიც გარკვეულწილად ითვალისწინებს ცალკეული წევრი სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდენობას. კონსტიტუციას შემოაქვს სიახლე: 2009 წლიდან საბჭოში **ხმათა კვალიფიცირებული უმრავლესობის ახალი განმარტება**: ეს არის **ორმაგი უმრავლესობა** წევრი სახელმწიფოებისა და ხალხებისა, რომლებიც წარმოადგენენ კანონშემოქმედების პროცესის ორმხრივ ხასიათს. ორმაგი უმრავლესობა მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც გადანყვეტილება მიღებულია წევრი სახელმწიფოების 55%-ის მიერ, რომლებიც, თავისმხრივ, წარმოადგენენ ევროკავშირის მოსახლეობის, სულ მცირე, 65 პროცენტს.

კვალიფიცირებული
უმრავლესობის
მასშტაბი

კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოში კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრის დაწესება დაახლოებით ოცი დებულებისთვის, რომლებისთვისაც ამჟამად ერთსულოვნებაა საჭირო, გააადვილებს გადანყვეტილებათა მიღებას. ერთსულოვნება კენჭისყრაში და, შესაბამისად, შესაძლებლობა რომელიმე ერთი წევრი სახელმწიფოსთვის, ხელი შეუშალოს გადანყვეტილების მიღებას, შენარჩუნებულია, მაგალითად, დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხებში, რომლებიც შიდა ბაზარს ეხება, ანდა სოციალურ დაცვასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებში. თუმცა „გარდამავალი“ დებულება კონსტიტუციაში იძლევა უფლებას, განხორციელდეს კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრის ცვლილება მომავალში ევროპული საბჭოს ერთსულოვანი გადანყვეტილების საფუძველზე.

საერთო საგარეო
და უშიშროების
პოლიტიკასთან
დაკავშირებული
სპეციფიკური
გადანყვეტილებები

კონსტიტუციაში გათვალისწინებულია გადანყვეტილებათა მიღების სპეციფიკური პირობები საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკასთან, მათ შორის, ევროპული უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

წინსვლა უფრო
ინტენსიურ
თანამშრომლობაში,
რომელშიც არ
მონაწილეობს ყველა
მხარე

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის ევროკავშირის იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც სურთ (როდესაც რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ეს სურვილი შეესატყვისება კავშირის მიზნებს, მაგრამ არ ხვდება მისი ექსკლუზიური კომპეტენციების სფეროში) გასცდნენ ინტეგრაციის ხელშეკრულებებით განსაზღვრულ დონეს, ამსტერდამის ხელშეკრულებამ შემოიღო „უფრო ინტენსიური თანამშრომლობის“ ცნება. ამგვარი სახის თანამშრომლობის მიზანია, წევრ სახელმწიფოთა შეზღუდულ რაოდენობას, რომელთაც ძალუძთ და სურთ ამის გაკეთება, მისცეს ევროპული ინტეგრაციის სფეროში წინსვლის საშუალება, კავშირის ინსტიტუციური სტრუქტურის მიმართ სრული პატივისცემის პირობით.

აღნიშნული უფრო ინტენსიური თანამშრომლობა შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ უკანასკნელი საშუალების სახით (როდესაც ასეთი თანამშრომლობის მიზნები ვერ იქნება მიღწეული მთლიანად ევროკავშირის მიერ); ამ თანამშრომლობისთვის მოთხოვნილია წევრ სახელმწიფოთა განსაზღვრული მინიმალური რაოდენობა (ამ რაოდენობად კონსტიტუცია აწესებს წევრ სახელმწიფოთა ერთ მესამედს) და ყველა წევრ სახელმწიფოს თავისუფლად უნდა შეეძლოს ამ თანამშრომლობაში ჩაბმა შემდგომ ეტაპებზე. უფრო ინტენსიური თანამშრომლობის საფუძველზე მიღებული აქტები მხოლოდ მონაწილე წევრი სახელმწიფოებისთვის არის სავალდებულოდ შესასრულებელი.

5.3 ევროკავშირის ფინანსური სახსრები

თანამეგობრობის **ბიუჯეტი** ტრადიციულ საბიუჯეტო მოდელებს მისდევს და, შესაბამისად, მას საფუძვლად უდევს გარკვეული პრინციპები: ერთიანობა (მთელი ხარჯები და შემოსავლები ერთ დოკუმენტში), ყოველწლიური ხასიათი (საბიუჯეტო ოპერაციები დაკავშირებულია ფინანსურ წელთან) და ბალანსი (ხარჯებმა არ უნდა გადააჭარბოს შემოსავალს).

ევროკავშირის
ბიუჯეტი

კონსტიტუციაში გათვალისწინებულია, რომ საბჭოს მიერ ერთსულოვანი კენჭისყრით შემოღებულ ევროპულ კანონმდებლობაში განსაზღვრული იქნება „**მრავალწლიანი ფინანსური სისტემა**“ და წლიური მაქსიმალური ოდენობები ევროკავშირის ხარჯებისათვის. ბიუჯეტი უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ მრავალწლიან ფინანსურ სისტემას.

მრავალწლიანი
ფინანსური სისტემა

ბიუჯეტის დაფინანსება ხდება ევროკავშირის **საკუთარი რესურსებიდან**, რომლებიც უმეტესწილად შედგება წევრი სახელმწიფოების მიერ ამოღებული დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილისგან და წევრი სახელმწიფოების მთლიანი შიდა პროდუქტის გარკვეული პროცენტული ოდენობისგან. ამ რესურსების ლიმიტებსა და კატეგორიებს ადგენს საბჭო, გარდა ამისა, საჭიროა მათი რატიფიცირება ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ.

საკუთარი რესურსები

ევროკავშირის წლიური ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე ევროკომისია პასუხისმგებელია. კონსტიტუცია ითვალისწინებს ბიუჯეტის მიღებას **ევროპის პარლამენტისა და მინისტრთა საბჭოს** მიერ; ეს ორი ინსტიტუტი ერთად **წარმოადგენს ბიუჯეტის მიმღებ ორგანოს**, რომელიც გამოიყენებს ბევრად უფრო მარტივ პროცედურას იმასთან შედარებით, რომელიც დღეს არის დანერგილი.

საბიუჯეტო
პროცედურა

ბიუჯეტს ასრულებს **ევროკომისია** პარლამენტისა და აუდიტორთა სასამართლოს მეთვალყურეობით. პრაქტიკაში ბიუჯეტის ძალზე დიდ ნაწილს ყოველდღიურად ასრულებენ წევრი სახელმწიფოები, განსაკუთრებით იმ ნაწილებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეხება.

ბიუჯეტის შესრულება



6. ევროკავშირის მოღვაწეობა საგარეო არენაზე

ევროკავშირის მთელი საქმიანობა საგარეო არენაზე დაჯგუფებულია ერთი საერთო სათაურით: ეს ტექსტს უფრო გასაგებს და თანმიმდევრულს ხდის

ევროკავშირის საგარეო მოღვაწეობასთან დაკავშირებული დებულებები კონსტიტუციაში **დაჯგუფებულია** ერთი საერთო სათაურის ქვეშ, მაშინ, როდესაც ძველ ხელშეკრულებებში ისინი სხვადასხვა ადგილას იყო გაფანტული. ამის შედეგად ტექსტი უფრო **ადვილად გასაგები** გახდა. გარდა ამისა, ამგვარი დაჯგუფება უზრუნველყოფს მესამე სამყაროს ქვეყნებთან მიმართებაში **ევროკავშირის სამოქმედო კურსის უფრო მეტ თანმიმდევრულობას**. ყველანაირ სამოქმედო კურსს — ეკონომიკურს, ჰუმანიტარულს თუ პოლიტიკურს - საერთო მიზნები ამოძრავებს.

კენჭისყრაში ერთსულოვნების შენარჩუნება

საგარეო პოლიტიკის სფეროში საბჭო გადაწყვეტილებებს უმეტეს შემთხვევაში კვლავ **ერთსულოვნად** მიიღებს. კონსტიტუციაში არ შეინიშნება პროგრესი ამ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ზოგიერთები ელოდნენ. 25 ან 30 სახელმწიფოსგან შემდგარ კავშირში ერთსულოვნება, ანუ ვეტოს უფლება ყოველი წევრი სახელმწიფოსთვის, არ გააადვილებს გადაწყვეტილებათა მიღებას!

სიახლე: ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის შემოღება

ყველაზე საინტერესო სიახლეა **ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის შემოღება**. ეს მინისტრი ამავე დროს იქნება **ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტიც**, თუმცა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე უშუალოდ **წევრ სახელმწიფოებთან** იმუშავებს. ამ ახალი თანამდებობის შემოღებამ ხელი უნდა შეუწყოს წევრ სახელმწიფოთა შორის ერთმანეთისადმი ნდობისა და ერთიანი ევროპისადმი კუთვნილების გრძნობის დამკვიდრებას. ამ თანამდებობაზე დანიშნული პირის ფუნქციები გავრცელდება ევროპის საგარეო კურსსა და დიპლომატიურ სამსახურზე, რომლის შემადგენლობაში შევლენ საბჭოს, კომისიისა და წევრ სახელმწიფოთა დიპლომატიური სამსახურების თანამშრომლები და რომელსაც ეყოლება დელეგაციები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. საგარეო საქმეთა მინისტრი უზრუნველყოფს იმას, რომ საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის ქმედება უფრო ეფექტიანი გახდება და მის აზრსაც მეტი მნიშვნელობა მიენიჭება. მაგალითად, მინისტრს შეუძლია ევროკავშირის სახელით გამოვიდეს გაერო-ს უშიშროების საბჭოში.

ევროპული თავდაცვის პოლიტიკა, რომელიც პატივს სცემს წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ვალდებულებებს შეიარაღებულ ძალთა სააგენტოს დაარსება

ევროკავშირის **თავდაცვის პოლიტიკა** ნელ-ნელა ყალიბდება და პატივს სცემს წევრ სახელმწიფოთა განსხვავებულ კულტურებსა და პოლიტიკურ ვალდებულებებს (არ დგას ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მიერ ნეიტრალიტეტის დათმობისა თუ ნატო-სთან პაექრობის საკითხი).

სოლიდარობა წევრ სახელმწიფოთა შორის, მაგალითად, ტერორისტული აქტის შემთხვევაში

დაარსდება **შეიარაღებულ ძალთა სააგენტო**, რათა გადასახადების გადამხდელთა ფული უკეთ იქნეს გამოყენებული და თავიდან იქნეს აცილებული, მაგალითად, სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს მიერ სამხედრო სფეროში წარმოებულ პროგრამათა დუბლირება.

ევროკავშირში შესვლით წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან ერთმანეთის მიმართ სოლიდარობაზე. ეს **სოლიდარობა** არ არის მხოლოდ ეკონომიკური: **ტერორისტული** თავდასხმის ან ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში კონსტიტუცია ითვალისწინებს მოქმედებას ევროკავშირის მხრიდან. უფრო მეტიც, თუ რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებულ აგრესიას ექნება ადგილი, დანარჩენი წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაეხმარონ მას.

ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს შორის თავდაცვის სფეროში მუდმივი თანამშრომლობის შესაძლებლობა

კონსტიტუცია შესაძლებლობას აძლევს იმ წევრ სახელმწიფოებს, რომელთაც გააჩნიათ აუცილებელი სამხედრო პოტენციალი და რომლებიც იკისრებენ უფრო მკაცრ ვალდებულებებს, ჩამოაყალიბონ მუდმივი თანამშრომლობის სტრუქტურა ერთმანეთს შორის ევროკავშირის ფარგლებში.

საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე **მოლაპარაკებებს არაწევრ ქვეყნებთან**, სახელდობრ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან, **ევროკავშირის სახელით კომისია აწარმოებს**, რათა დაიცვას საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობასთან, ინტელექტუალურ საკუთრებასთან და ინვესტირებასთან დაკავშირებული ევროპული ინტერესები.

საგარეო ვაჭრობა: არაწევრ ქვეყნებთან მოლაპარაკებებს კომისია აწარმოებს

ამ სფეროში კონსტიტუცია აფართოებს **ევროპის პარლამენტის** როლს და ანიჭებს მას თითქმის ისეთსავე ფუნქციებს, როგორსაც საბჭოს, მაშინ, როდესაც ხელშეკრულება პარლამენტს არ აკისრებდა არანაირ როლს არც მონიტორინგში და არც გადაწყვეტილებათა მიღებაში. გარდა ამისა, უფრო მკაფიოდ განისაზღვრა საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესები, რათა ევროკავშირის მიეცეს შესაძლებლობა, კვლავ შეუცვლელი როლი ითამაშოს მსოფლიო ეკონომიკის რეგულირების პროცესში.

ევროპის პარლამენტისთვის მეტი ძალაუფლების მინიჭება, საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა მიღებისთვის უფრო ნათლად განსაზღვრული წესები

განვითარების სფეროში ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი მიზანია სიღარიბის აღმოფხვრა. ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მხრიდან მომდინარეობს მსოფლიო მასშტაბით განეული სახელმწიფო დახმარების დაახლოებით 50%; ამ სფეროში მეტი ეფექტიანობის მიღწევის მიზნით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ქმედებათა სათანადო კოორდინირებას.

პოლიტიკა განვითარების სფეროში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სიღარიბის აღმოფხვრაზე

კონსტიტუციის ერთ-ერთი დებულება ყურადღებას ამახვილებს **კავშირის პოლიტიკაზე ჰუმანიტარული დახმარების** სფეროში (რომელსაც “ECHO” წარმართავს), რათა მოახდინოს მისი სპეციფიკური ხასიათის დემონსტრირება (ის უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარულ კანონმდებლობას და არ უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკური ზეწოლის საშუალებას).

პოლიტიკა ჰუმანიტარული დახმარების სფეროში

კონსტიტუციაში განსაზღვრულია, თუ როგორ და როდის შეუძლია ევროკავშირს **საერთაშორისო შეთანხმებებთან** დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოება, და გარკვევით არის ჩამოყალიბებული პროცედურა: კომისია (ან საგარეო საქმეთა მინისტრი) აწარმოებს მოლაპარაკებას, ხოლო საბჭო და პარლამენტი ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, უნდა მიიღონ თუ არა მოლაპარაკებათა შედეგი.

საერთაშორისო შეთანხმებებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა წარმოება



7. თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სივრცე

შესატყვისი
ინსტრუმენტები
ტერორიზმისა
და დანაშაულის
წინააღმდეგ
საბრძოლველად

თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სივრცის ცნება ამჟამად მოქმედ ხელშეკრულებებშიც ფიგურირებს, მაგრამ კონსტიტუცია ევროკავშირს აძლევს მის წინაშე წამოჭრილ პრობლემათა (როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება, როგორ უნდა წარმოებდეს ბრძოლა ტერორიზმისა და სერიოზული დანაშაულის წინააღმდეგ, როგორ უნდა მოხდეს მიგრაციის ნაკადების მართვა) მასშტაბის გადაჭრის შესატყვისი ინსტრუმენტებს. გარდა ამისა, შესაბამის პროცედურებს კონსტიტუცია უფრო ეფექტიან, უფრო დემოკრატიულ და უფრო გამჭვირვალე ხასიათს სძენს.

ევროკავშირის
შიდა საზღვრებზე
შემოწმების
არარსებობა.
გაძლიერებული
კონტროლი კავშირის
გარე საზღვრებზე

ამჟამად მოქმედი ხელშეკრულებების ანალოგიურად, იმ წევრი ქვეყნებისათვის, რომლებიც შედიან „შენგენის სივრცეში“, კონსტიტუცია აუქმებს შემოწმებას ევროკავშირის შიდა საზღვრებზე და დაანესებს იმ ადამიანთა შემოწმების წესებს, რომლებიც კვეთენ კავშირის გარე საზღვრებს. გარდა ამისა, ევროკავშირს თავისი საზღვრების მართვა საერთო წესით შეუძლია, რაც ნიშნავს, მაგალითად, ისეთი სამსახურის დაარსებას, რომელიც დახმარებას გაუწევდა წევრი ქვეყნების საზღვრის დამცველებს საზღვრების კონტროლისა და მათთვის თვალყურის დევნების რთულ საქმეში.

თავშესაფართან
დაკავშირებული
საერთო პოლიტიკა

ევროკავშირს უნდა ჰქონდეს თავშესაფართან დაკავშირებული საერთო პოლიტიკა, რომელიც სრულშესაბამისობაში იქნება ლტოლვილების შესახებ ჟენევის კონვენციასთან. ამ პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც საერთაშორისო დაცვას საჭიროებს, შეეძლოს ამგვარი დაცვის მიღება. ამჟამად მოქმედი ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ მინიმალური წესების შემოღებას უზრუნველყოფს, კონსტიტუცია ითვალისწინებს თავშესაფართან დაკავშირებული საერთო ევროპული პოლიტიკის დამკვიდრებას. ამ პოლიტიკაში, სხვა საკითხებთან ერთად, შედის თავშესაფარის უნიფიცირებული სტატუსის ლტოლვილებისთვის და საერთო პროცედურები.

საერთო საიმიგრაციო
პოლიტიკა

ევროკავშირი შემოიღებს, აგრეთვე, საერთო საიმიგრაციო პოლიტიკას. არსებული ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია ამ საერთო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები. პოლიტიკის შემოღების მიზანია მიგრაციის ნაკადების უფრო ეფექტიანი მართვა, წევრ ქვეყნებში კანონიერად მცხოვრები იმიგრანტების მიმართ სამართლიანი დამოკიდებულების უზრუნველყოფა და არალეგალურ იმიგრაციასთან და ადამიანებით ტრეფიკინგთან ბრძოლა დამათი ალკვეთა. საბჭო და ევროპარლამენტი მიიღებენ ზომებს ამ მიმართულებით. ეს ზომები შეეხება, მაგალითად, წევრ ქვეყნებში იმიგრაციასთან დაკავშირებულ პირობებს ან იმიგრანტთა უფლებებს. გარდა ამისა, ევროკავშირს შეუძლია შემოიღოს ღონისძიებები წევრი სახელმწიფოებისთვის დახმარების გასაწევად მათ მცდელობებში, რომლებიც მიმართულია მესამე მსოფლიოს მოქალაქეთა ინტეგრირებისკენ.

სოლიდარობა და
დემოკრატიული
პროცედურები
ევროკავშირში

ყველა ზემოხსენებული პოლიტიკა გატარდება სოლიდარობის პრინციპის (კონსტიტუციაში გათვალისწინებული ფინანსური სოლიდარობის ჩათვლით) სრული პატივისცემით. მნიშვნელოვნად განმტკიცდება დემოკრატიული კანონიერება. ამჟამად მოქმედ ხელშეკრულებებში ევროპის პარლამენტთან მხოლოდ კონსულტაციები წარმოებს, კონსტიტუციის საფუძველზე კი ყველა აღნიშნულ ღონისძიებას პარლამენტი და საბჭო ღებულობენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება მართლმსაჯულების სასამართლოს, რომელიც თავის კონტროლს გაავრცელებს ყველა მიღებულ აქტზე; და ბოლოს, საკანონმდებლო ინიციატივის ერთადერთი წყარო იქნება ევროკომისია, რომელიც გაავრცელებს თავისი როლის — ხელშეკრულებებთან შესაბამისობის მეთვალყურის — შესრულებას.

ევროკავშირი გააგრძელებს სამოქალაქო საკითხებში სასამართლოების თანამშრომლობის არსებულ პრაქტიკას იმ შემთხვევებში, როდესაც განსახილველი საკითხები შესაბამისი ქვეყნების ინტერესთა სფეროებში იქნება. ამჟამად მოქმედი ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, კონსტიტუცია საბჭოს და პარლამენტს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღონ კანონები ან ჩარჩო-კანონები მართლმსაჯულების მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

სასამართლოების
თანამშრომლობა
სამოქალაქო
საკითხებში

ამჟამად მოქმედი ხელშეკრულებების საფუძველზე უკვე დამკვიდრებულია **სისხლის სამართლის საკითხებში პოლიციისა და სასამართლოების თანამშრომლობა**. მაგრამ ისევე, როგორც საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში, ეს საკითხი ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების ერთ, „მესამე საყრდენი ბურჯის“ სახელით ცნობილ, ნაწილშია განსაზღვრული და ექვემდებარება მთავრობათაშორის გადანაცვლებათა მიღების მეთოდს. კონსტიტუციას ამ სფეროში სიახლე შემოაქვს — იგი აუქმებს მესამე საყრდენ ბურჯს, რომელიც ერთ ფორმატში აერთიანებს ევროკავშირის ყველანაირ პოლიტიკას, და ამკვიდრებს უფრო დემოკრატიულ, **უფრო ეფექტიან და უფრო გამჭვირვალე** პროცედურებს. უნდა აღვნიშნოთ ერთი განსაკუთრებული საკითხი: ნევრ სახელმწიფოთა ჯგუფს (მეოთხედს) შეუძლია ინიციატივის წარდგენა კომისიის ანალოგიურად. ვეტოს უფლება ბევრად უფრო შეზღუდულია კვალიფიცირებული უმრავლესობის წესის სასარგებლოდ; პარლამენტი საბჭოსთან ერთად აწარმოებს კანონმდებლობის პროცესს და მათ მიერ მიღებული წესები შესამოწმებლად უნდა წარედგინოს მართლმსაჯულების სასამართლოს.

სისხლის სამართლის
საკითხებში პოლიციისა
და სასამართლოების
თანამშრომლობა

ამრიგად, პარლამენტსა და საბჭოს შეუძლიათ დააწესონ საერთო განმარტებები და **სასჯელები სერიოზული და სხვა ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულებისათვის**, რომლებიც კონსტიტუციაშია ჩამოთვლილი. ეს არის ძალზე სერიოზული დანაშაულები, მაგალითად, ტერორიზმი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ადამიანებით ტრეფიკინგი, რასიზმი და ქსენოფობია, ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია და გარემოსთან დაკავშირებული დანაშაული.

საერთო სასჯელები
სხვა ქვეყანაში
ჩადენილი
დანაშაულისთვის

კონსტიტუცია საშუალებას მისცემს ევროკავშირს, მიიღოს ჩარჩო-კანონები სისხლის სამართლის პროცედურასთან დაკავშირებით დაზარალებულ პირთა უფლებებთან და სისხლის სამართლის პროცედურაში პირად უფლებებთან მიმართებაში. განმტკიცდება ნევრ სახელმწიფოებს შორის სასამართლო თანამშრომლობის არსებული მექანიზმები, მაგალითად, „ევროჯასტი“, და საბჭომ მომავალში შეიძლება მიიღოს **ევროპელი პროკურორის სამსახურის** დაარსების გადანაცვლებები. ეს სამსახური გამოიძიებდა და საქმეს აღძრავდა სხვა ქვეყნებში სერიოზული დანაშაულის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ. ეს გადანაცვლებები ნევრმა სახელმწიფოებმა ერთსულოვნად უნდა მიიღონ.

სხვა ქვეყანაში
დანაშაულის ჩამდენ
პირთა წინააღმდეგ
საქმის აღძვრის
მიზნით ევროპელი
პროკურორის
ოფისის დაარსების
შესაძლებლობა

პოლიციის თანამშრომლობის სფეროში ევროპის პოლიციის სამსახური, „ევროპოლი“, გვთავაზობს სტრუქტურას ნევრ სახელმწიფოებს შორის პოლიციის ძალთა თანამშრომლობის განმტკიცებისთვის ორგანიზებული საერთაშორისო დანაშაულის ყველა სერიოზული ფორმის თავიდან ასაცილებლად და მათთან საბრძოლველად. კონსტიტუციის მიხედვით, „ევროპოლის“ საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს ევროპისა და ნევრ სახელმწიფოთა პარლამენტების მხრიდან.

პოლიციის
თანამშრომლობა



8. ევროკავშირის ზოგიერთი სხვა პოლიტიკა: რა სიახლეები შემოაქვს კონსტიტუციას

ევროკავშირის
ზოგიერთი პოლიტიკის
რეფორმირება

კონვენტმა და მთავრობათაშორისმა კონფერენციამ საგანგებო ყურადღება გაამახვილეს **ზოგიერთი პოლიტიკის** (საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა; თავისუფლების, უშიშროებისა და მართლმსაჯულების სივრცე; ეკონომიკური და ფულადი კავშირი) **რეფორმირებაზე**. თუმცა კავშირის სხვა პოლიტიკებში არ შეტანილა რაიმე სერიოზული ცვლილებები. ხელშეკრულებათა გადასინჯვის უნიკალური შემთხვევებისგან (ერთიანი ევროპული აქტი და მასტრიხტის ხელშეკრულება) განსხვავებით, კონსტიტუციას მნიშვნელოვნად არ გაუფართოებია ევროკავშირის უფლებამოსილებათა მასშტაბი.

ევროკავშირის
სამოქმედო კურსის
თანმიმდევრულობა

საგანგებო ყურადღება დაეთმო **ევროკავშირის სამოქმედო კურსის თანმიმდევრულობის** შენარჩუნებას; ეს განხორციელდა ისეთი დებულებების შემოტანით, რომლებიც უზრუნველყოფს ცალკეული პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელებისას ზოგადი მიზნების – სახელდობრ, სქესთა თანასწორობის, გარემოსა და მომხმარებლების დაცვის – გათვალისწინებას.

გარკვეულ სფეროებში
ქმედების ახალი
შესაძლებლობები

კონსტიტუცია ამკვიდრებს **ახალ სამართლებრივ საფუძველს**, რომელიც ევროკავშირს აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ზომები შემდეგ სფეროებში: საზოგადოებრივი **ჯანდაცვა**, საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზემოქმედების მქონე ზოგად პრობლემებზე (მაგალითად, ბიოტერორიზმი) რეაგირების თვალსაზრისით; **ენერგეტიკა**, რაც მიზნად ისახავს საჯარო მომსახურების ხელმისაწვდომობის, მისი რეგულარული ხასიათის, მოწოდების უზრუნველყოფის, ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარებისა და ენერგიის დაზოგვის ხელშეწყობას; **მოქალაქეთა დაცვა**, რაც მიზნად ისახავს ნეერი სახელმწიფოებისთვის დახმარების განევას ბუნებრივი და ადამიანის ქმედებებით გამოწვეული კატასტროფების შედეგების მოგვარებაში; და **სპორტი**, ამ უკანასკნელის საგანმანათლებლო ასპექტის განვითარებისა და დოპინგის მიღების თავიდან ასაცილებელი მცდელობების კოორდინირების მიზნით.

9. კონსტიტუციის ძალაში შესვლა და გადასინჯვა

კონსტიტუციის ძალაში შესვლა

კონსტიტუციის ძალაში
შესვლა

საკონსტიტუციო ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მის რატიფიცირებას მოახდენს ყველა ნევრი სახელმწიფო საკუთარი საკონსტიტუციო წესების შესაბამისად (პარლამენტის მიერ დამტკიცების და/ან რეფერენდუმის მეშვეობით). თუ კონსტიტუციის ხელმოწერიდან ორი წლის განმავლობაში მის რატიფიცირებას ნევრ სახელმწიფოთა მხოლოდ ოთხი მეხუთედი მოახდენს, ევროპული საბჭო ხელახლა განიხილავს სიტუაციას.

კონსტიტუციის მომავალი გადასინჯვები

კონსტიტუციის
გადასინჯვა: კონვენტის
მეთოდის დამტკიცება

ამიერიდან კონსტიტუციის შესწორებებს, ჩვეულებრივ, მოაზაადებს კონვენტი, თუკი მათი მასშტაბი არ იქნება შეზღუდული. კონვენტმა კონსენსუსის საფუძველზე უნდა მიიღოს რეკომენდაცია მთავრობათაშორისი კონფერენციისთვის, რომელიც უნდა დაეთანხმოს კონსტიტუციაში შესატან შესწორებებს. ეს შესწორებები ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ რატიფიცირებას მოახდენს ყველა ნევრი სახელმწიფო საკუთარი საკონსტიტუციო წესების შესაბამისად.

ზოგიერთი შესწორებისათვის, როგორც არის, მაგალითად, კვალიფიცი-რებული უმრავლესობით კენჭისყრის მოქმედების გაფართოება გარკვეულ სამოქმედო სფეროებზე, გათვალისწინებულია უფრო მოქნილი პროცედურა. ამგვარი შესწორებებისთვის საკმარისი იქნება ევროპული საბჭოს ერთსუ-ლოვანი თანხმობა და დამტკიცება ევროპის პარლამენტის მიერ.

“Europe Direct”

ევროპის კონსტიტუციასთან დაკავშირებით რაიმე კითხვის გაჩენის შემთხვევაში შეგიძლიათ დარეკოთ უფასო ტელეფონზე:

00 800 67 89 10 11 ან ფასიან ტელეფონზე: + 32 2 299 96 96

“Futurum”

ევროპის კონსტიტუციასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ინტერნეტგვერდი:

<http://europa.eu.int/futurum>

ევროპული თანამეგობრობები

ლუქსემბურგი, ევროპულ თანამეგობრობათა ოფიციალური
გამოცემების სამსახური

2004 — 28 გვერდი — 21 x 29,7 სმ

ISBN: 92-894-0751-4



25 წევრი სახელმწიფო
 კანდიდატი ქვეყნები

ევროპული თანამეგობრობები

საფოსტო მისამართი

B-1049 Brussels (Belgium)



ISBN 92-894-0751-4

 9 789289 407519